პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს სხდომა

სხდომის ოქმი N2

29 ივნისი, 2015 წელი

შეხვედრის დასახელება	**პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს სხდომა**
შეხვედრის თარიღი:	**29 ივნისი, 2015 წ.**
შეხვედრის ადგილი:	**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**
შეხვედრის მონაწილეები:	
სახელი, გვარი	თანამდებობა
თამარ სანიკიძე	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი
ქეთევან ნატრიაშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე
ელგუჯა მელაძე	ა(ა)იპ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი
მაია ჩიხლაძე	ა(ა)იპ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის გამგეობის წევრი, ქალ-მეწარმეთა ასოციაციის გამგეობის წევრი
მიხეილ ჭელიძე	საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციის პრეზიდენტი
ირაკლი პეტრიაშვილი	ა(ა)იპ საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე
ილია ვერძაძე	საქართველოს პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანების თავმჯდომარე
ლავრენტი ალანია	ა(ა)იპ საქართველოს ტრანსპორტისა და გზების მუშაკთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე
გოჩა ალექსანდრია	ა(ა)იპ საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე
ირინე ინასარიძე	ა(ა)იპ ასოციაციის „ანიკა“ დირექტორი
თემურ ყანდაშვილი	ა(ა)იპ კავშირის „„განათლება და კეთილდღეობა“ გამგეობის თავმჯდომარე, კოალიციის „„განათლება ყველასათვის“ გამგეობის წევრი
ალექსანდრე ეჯიბაძე	ა(ა)იპ საქართველოს პროფესიული განათლების ფონდის გამგეობის თავმჯდომარე
თამარ ქიტიაშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი
ირინა წეროძე	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
ნიკოლოზ მესხიშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი

თეა სიფრაშვილი	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ნინო ელბაქიძე	სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
სალომე წურწუმია	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელი
ეკა ლომინაშვილი	ა(ა)იპ საქართველოს ფერმერთა ასოციაციის წარმომადგენელი
მარიამ ზაქარეიშვილი	ა(ა)იპ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის წარმომადგენელი
ანასტასია ქიტიაშვილი	ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) პროექტის ,,პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის" პროფესიული განათლების პოლიტიკის ექსპერტი და ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის „დასაქმება და პროფესიული განათლება" სოციალური პარტნიორობის უფროსი ექსპერტი
დევიდ ჰენდლი	ათასწლეულის გამოწვევის ფონდი -საქართველო (MCA-Georgia) პროექტის ,,პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის" ჯგუფის ხელმძღვანელი
გიუნტერ დივალდი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პროფესიული განათლების ექსპერტი
ოლივერ დიზი	ევროკავშირის პროექტის "დასაქმებისა და პროფესიული განათლების რეფორმების ტექნიკური დახმარება საქართველოში" პროფესიული განათლების პოლიტიკის ექსპერტი
რუდიგერ ჰეინინგი	გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) საქართველოში, პროექტის ,,საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროში პროფესიული განათლებისა და გადამზადების, საკონსულტაციო მომსახურების სისტემების მოდერნიზაცია" მენეჯერი
კრისტინა ფიბლსი	გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) წარმომადგენელი
შეხვედრის მდივანი	
მარიამ შოთაძე	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის შტატგარეშე თანამშრომელი

შეხვედრის დღის წესრიგი	
საკითხი #1	**მომხსენებელი**
მოკლე ინფორმაცია პროფესიული განათლების ინსტიტუციური მოწყობის შეფასების (RIA) მეთოდოლოგიის შესახებ	ოლივერ დიზი - ევროკავშირის პროექტის "დასაქმებისა და პროფესიული განათლების რეფორმების ტექნიკური დახმარება საქართველოში" პროფესიული განათლების პოლიტიკის ექსპერტი
საკითხი #2	
თემატური სამუშაო ჯგუფების მუშაობის შესახებ ანგარიში	ნიკოლოზ მესხიშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის სოციალური პარტნიორობის

	ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი
საკითხი #3	
ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის (Feasibility Study) პირველადი შედეგები	დევიდ ჰენდლი - ათასწლეულის გამოწვევის ფონდის - საქართველო (MCA) პროექტის „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისათვის“ ჯგუფის ხელმძღვანელი
საკითხი #4	
პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს სამდივნოს რეორგანიზება	ოლივერ დიზი - ევროკავშირის პროექტის "დასაქმებისა და პროფესიული განათლების რეფორმების ტექნიკური დახმარება საქართველოში" პროფესიული განათლების პოლიტიკის ექსპერტი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ქ-ნი თამარ სანიკიძე, მიესალმა პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს (შემდგომში საბჭო) სხდომის მონაწილეებს. მან მოწვეულ სტუმრებს გააცნო დღის წესრიგი და მიაწოდა ინფორმაცია ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესახებ, რომელმაც უკვე გაიარა მესამე საპარლამენტო მოსმენა და კანონის მიღების შემდეგ, სამართლებრივ საფუძველს შეუქმნის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვას, საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში. ქ-ნმა ქეთევან ნატრიაშვილმა აღნიშნა, რომ მოცულობითი სამუშაოები იქნა ჩატარებული პროფესიული განათლების მიმართულებით ინსტიტუციურ მოწყობასთან დაკავშირებით და სთხოვა ბ-ნ ოლივერ დიზის, წარმოედგინა ამ კუთხით მიმდინარე ეტაპზე არსებული მდგომარეობა და სხდომის მონაწილეებისთვის გაეზიარებინა ევროკავშირის პროექტის "დასაქმებისა და პროფესიული განათლების რეფორმების ტექნიკური დახმარება საქართველოში" მიერ შემუშავებული რეკომენდაციები.

ბ-ნმა ოლივერ დიზიმ წარმოადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი - მოკლე ინფორმაცია პროფესიული განათლების ინსტიტუციური მოწყობის შეფასების (RIA) მეთოდოლოგიის შესახებ. ბ-ნმა ოლივერმა წარმოადგინა შეფასების პროცესში გამოვლენილი დასკვნები და კვლევის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები.

მან ასევე, ისაუბრა შეფასების პროცესში გამოკვეთილ ძლიერ და სუსტ მხარეებზე. მისი მოსაზრებით უმჯობესი იქნება თუკი სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ სააგენტოებთან გაფორმდება დამატებითი შეთანხმება (მომსახურების შესახებ), სადაც გაწერილი იქნება წლიური საოპერაციო გეგმა და რაც ხელს შეუწყობს სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესრულებას. ქ-ნმა ქეთევანმა აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალ იურიდიულ პირებს, საკანონმდებლო დონეზე გაწერილი კომპეტენციების შესაბამისად აკისრიათ შესაბამისი ფუნქციები და სამინისტრო კოორდინაციას უწევს მათ შესრულებას,

შესაბამისად ქ-ნმა ქეთევანმა სთხოვა მომხსენებელს, დაეზუსტებინა თუ რა იგულისხმება მომსახურების შეთანხმებაში. ბატონმა ოლივერმა განმარტა, რომ მომსახურების შეთანხმებაში იგულისხმება დოკუმენტი, რომლითაც უფრო დეტალურად იქნება გაწერილი, თუ რა ვალდებულებები ეკისრებათ იურიდიულ პირებს, როდის და რა ფორმით წარადგენენ შექმნილ პროდუქტსა და ანგარიშს მაკონტროლებელ უწყებასთან. ბ-ნმა ირაკლი პეტრიაშვილმა აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ სამინისტროს წლის გეგმაში ასახულია და საკანონმდებლო დონეზეა გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები, მიზანშეწონილია დამატებით განიმარტოს შემოთავაზებული დამატებითი შეთანხმების მიზანშეწონილობა. ასევე, დაინტერესდა, აღნიშნული შეთანხმება მხოლოდ სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო დაწესებულებების ფუნქციებისა და ვალდებულებების განმსაზღვრელ დოკუმენტს გულისხმობს თუ ე.წ. „აუთსორსინგსაც". პასუხად, ბატონმა ოლივერმა განმარტა, რომ საერთაშორისო პრაქტიკაში ორივე მეთოდი აპრობირებულია და შესაბამისად, საქართველოს შემთხვევაშიც ორივე მათგანის გამოყენება იქნება მიზანშეწონილი, კონკრეტული საჭიროებებიდან გამომდინარე. შეთანხმება სამინისტროს საშუალებას მისცემს, გარკვეული ფუნქციები მთლიანად გადასცეს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს. ბ-ნმა ოლივერმა, ასევე, ისაუბრა პროექტის სამომავლო გეგმებზე, რაც, სხვა აქტივობებთან ერთად, რეკომენდაციების საბოლოო მხარდაჭერის მიზნით, საბჭოსთან საკონსულტაციო შეხვედრის ორგანიზებასაც ითვალისწინებს. ქ-ნმა თამარმა მადლობა გადაუხადა მომხსენებელს, პრეზენტაციისთვის და აღნიშნა, რომ რეკომენდაციები უნდა იყოს მაქსიმალურად შედეგებზე ორიენტირებული და ამიტომ, მიზანშეწონილია, პროექტის "დასაქმებისა და პროფესიული განათლების რეფორმების ტექნიკური დახმარება საქართველოში" წარმომადგენლებმა, ამ საკითხთან დაკავშირებით, იმუშაონ პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტთან კოორდინირებულად.

ბატონმა ნიკოლოზ მესხიშვილმა წარმოადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი - თემატური სამუშაო ჯგუფების მუშაობის შესახებ ანგარიში. მან საბჭოს წევრებს კიდევ ერთხელ გააცნო სოციალური პარტნიორობის ჩარჩო დოკუმენტი და მიაწოდა ინფორმაცია არსებული 7 თემატური სამუშაო ჯგუფის მუშაობის წესის, ორგანიზებული შეხვედრებისა და განხორციელებული საქმიანობის შესახებ. ბ-ნი დევიდ ჰენდლი დაინტერესდა, იგეგმება თუ არა კერძო სექტორთან თანამშრომლობის თემატური სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება, რაზეც ქ-ნმა თამარ ქიტიაშვილმა უპასუხა, რომ აღნიშნული ჯგუფი უკვე დაკომპლექტებულია, რომელსაც ფასილიტაციას უწევს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ). ასევე აღინიშნა, რომ გარკვეული ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, თემატური სამუშაო ჯგუფის შეკრება მიმდინარე წლის მესამე კვარტლისთვის გადაიდო. ქ-ნმა ქეთევანმა შეაჯამა საკითხი და აღნიშნა, რომ თუ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) ვერ შეასრულებს ამ კუთხით ნაკისრ ვალდებულებას, სამინისტრო, თემატური სამუშაო ჯგუფის ფასილიტაციას სთხოვს ათასწლეულის გამოწვევის ფონდს - საქართველო (MCA).

ბ-ნმა ირაკლი პეტრიაშვილმა აღნიშნა, რომ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების თემატური სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრის შემდეგ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შეიმუშავა პროგრამა, რომელიც ფარავს სამუშაოზე

დაფუძნებული სწავლების საკითხებს. ბ-ნი ირაკლი ასევე მიიჩნევს, რომ სასურველი იქნებოდა, აღნიშნული საკითხის განხილვა საბჭოს ფორმატში. ქ-ნმა ქეთევანმა განმარტა, რომ პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭო იკრიბება კვარტალში ერთხელ და იმ შემთხვევაში, თუ საბჭოს რომელიმე წევრი საჭიროდ მიიჩნევს დამატებით შეკრებას, კონკრეტული საკითხების განხილვის მიზნით, დასაბუთებული ინიციატივა წერილობით უნდა მიაწოდოს საბჭოს სამდივნოს. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამასთან დაკავშირებით, განმარტება გააკეთა ქ-ნმა თამარ ქიტიაშვილმა და აღნიშნა, რომ პროგრამა ეხება უმუშევართა მომზადებისა და გადამზადების საკითხებს და შესაძლოა, სამომავლოდ გათვალისწინებული იქნეს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პრინციპები და მიდგომები, თუმცა, ზემოაღნიშნული თემატური სამუშაო ჯგუფის მიზანი, საგანმანათლებლო სისტემაში, საკვალიფიკაციო პროგრამებში სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პრინციპების დანერგვაა და შესაბამისად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამა სრულად ვერ შეესაბამება აღნიშნულ მიზანს.

ათასწლეულის გამოწვევის ფონდის - საქართველო (MCA) პროექტის „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისათვის" ჯგუფის ხელმძღვანელმა, ბ-ნ დევიდ ჰენდლიმ წარმოადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი - ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის (Feasibility study) პირველადი შედეგები. ბ-ნმა დევიდმა აღნიშნა, რომ ხარისხის მართვის თემატური სამუშაო ჯგუფი 4 ძირითად საკითხზე მუშაობს:

1. ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს შემუშავება, შეფასება და არსებული პრობლემების იდენტიფიცირება;
2. პროფესიული საგანმანათლებლო კვალიფიკაციების ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა და გარე ვერიფიკაციის შეფასება;
3. საგანმანათლებლო დაწესებულებების თვითშეფასების ანგარიშების ანალიზი;
4. დარგობრივი საბჭოების კონცეფცია.

ბ-ნმა დევიდმა გააკეთა მოკლე მოხსენება, პირველ ორ საკითხთან დაკავშირებით, რომლის ფარგლებშიც აღნიშნა, რომ განხილულია ხარისხის უზრუნველყოფის ამჟამად მოქმედი ყველა მექანიზმი და შემუშავებულია სიტუაციური ანალიზის ანგარიშის სამუშაო ვერსია. მან ასევე ისაუბრა შეფასების ძირითად მიგნებებზე.

მეორე საკითხთან დაკავშირებით, ბ-ნმა დევიდმა მოკლედ აღწერა პროფესიული საგანმანათლებლო კვალიფიკაციების ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის კუთხით არსებული მდგომარეობა და აღნიშნა, რომ აუცილებელია დაინერგოს ვერიფიკაციის სისტემა, რათა მოხდეს კვალიფიკაციების შეფასება და ხარისხის უზრუნველყოფა. მისი მოსაზრებით ვერიფიკაცია უნდა განახორციელოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, თუმცა, შესაძლოა პროცესში ჩაერთონ შესაბამისი გამოცდილების მქონე ორგანიზაციები. გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია დარგობრივი საბჭოების მუშობა და ინფორმაციის მართვის სისტემების დანერგვა. კვლევის ფარგლებში, მოხდა არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად საჭირო

ხარჯების შესწავლა და შემუშავდა რეკომენდაციები, დანახარჯების მინიმუმამდე შესამცირებლად.

ქ-ნმა ქეთევანმა მადლობა გადაუხადა მომხსენებელს, ინფორმაციის გაზიარებისათვის და აღნიშნა, რომ აუცილებელია გაგრძელდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ათასწლეულის გამოწვევის ფონდის - საქართველო (MCA) პროექტის „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისათვის" ერთობლივი მუშაობა, რათა შემუშავებულ იქნეს კონკრეტული რეკომენდაციები და ზუსტად განისაზღვროს განსახორციელებელი აქტივობებისთვის საჭირო ხარჯები. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს წევრებს განსხვავებული პოზიცია არ დაუფიქსირებიათ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ოლივერ დიზიმ. მისი პირველი რეკომენდაციაა, პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს სამდივნოს გაძლიერება, რადგან, ამჟამად მოქმედი სამდივნოს თანამშრომელთა რაოდენობა ძალიან მცირეა და რთულია მასზე დაკისრებული ფუნქციების ხარისხიანად განხორციელება. ბ-ნი ოლივერის თქმით გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით შესაძლებელია 2016 წლის ბოლომდე, მოხდეს რესურსების გამოყოფა სამდივნოს გაძლიერების ხელშეწყობისთვის. ასევე, საჭიროა სამდივნოს შესაძლებლობების გაძლიერების უფრო გრძელვადიანი გეგმის შემუშავება და სექტემბრისთვის მიღებული იქნება ორი გადაწყვეტილება, დამოუკიდებელი სამდივნოსა და როტაციაზე დაფუძნებული სამდივნოს შექმნის შესახებ. ასევე, ბ-ნმა ოლივერი მიიჩნევს, რომ უნდა შეიცვალოს პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს მუშაობის მეთოდოლოგია, კერძოდ საბჭოს წევრებმა, თავიანთი ორგანიზაციების წევრებს უნდა გააცნონ საბჭოს სხდომაზე განხილული ყველა საკითხი და გარკვეული საკითხების განხილვა უნდა მოხდეს კონსულტაციების ფორმატში, საბჭოს წევრებს შორის. ასევე, საბჭოს გადაწყვეტილება უნდა ატარებდეს სარეკომენდაციო ხასიათს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის.

ბ-ნი ოლივერის მოსაზრებით, აღნიშნული სამდივნოს გაძლიერებისა და საბჭოს მუშაობის მეთოდოლოგიის ცვლილების შემდეგ, საჭირო იქნება კვლევის ჩატარება, რომლის შედეგად, გამოვლინდება, თუ რა დამოკიდებულება აქვთ საბჭოს წევრებს აღნიშნული სათათბირო ორგანოს საქმიანობასთან მიმართებაში. მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, შემუშავებული იქნება უფრო კონკრეტული რეკომენდაციები. ბ-ნმა ირაკლი პეტრიაშვილმა დასძინა, რომ სასურველია, საბჭოს შეხვედრები უფრო ხშირად გაიმართოს, რადგან კვარტალურ სხდომებზე არ არის საშუალება, განხილულ იქნეს ყველა მიმდინარე საკითხი. ქ-ნი ქეთევან ნატრიაშვილმა აღნიშნა, რომ დამატებითი შეხვედრების ორგანიზება განსხვავებულ ფორმატში შესაძლებელია საბჭოს წევრების მოთხოვნის შესაბამისად და თუ ასეთი მოთხოვნა დაფიქსირდება სამდივნოში აუცილებლად მოხდება შესაბამისი ღონისძიების განხორციელება. ქ-ნმა ქეთევანმა ასევე აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია თემატური სამუშაო ჯგუფების გაძლიერება, თითოეული ჯგუფის ფარგლებში შესაბამისი საკითხების განხილვა და მნიშვნელოვან საკითხებზე მსჯელობა საბჭოს ფორმატში. ბ-ნი ირაკლი დაეთანხმა ქ-ნი ქეთევანის მოსაზრებას და დამატებით აღნიშნა, რომ საბჭოს შემადგენლობა გაცილებით წარმომადგენლობითია და ძალიან მნიშვნელოვანია, ყველა მხარე მაქსიმალურად ჩაერთოს

პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე პროცესებში, რაც მხოლოდ საბჭოს ფორმატშია შესაძლებელი. გარდა ამისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, საკუთარი რესურსებით, უნდა უზრუნველყოს დამსაქმებელთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა მოტივაციის გაზრდა. ქ-ნმა ქეთევანმა სთხოვა ბატონ ოლივერს, რეკომენდაციების შემუშავების პროცესში გაითვალისწინოს ბ-ნი ირაკლის მოსაზრებები და განსაზღვროს შესაბამისი მასტიმულირებელი მექანიზმები.

ქ-ნმა ქეთევან ნატრიაშვილმა შეაჯამა სხდომა და აღნიშნა, რომ ვინაიდან ყველა წარმოდგენილი პრეზენტაცია დასამუშავებელია, მიზანშეწონილი არ იქნებოდა რეკომენდაციებზე საუბარი წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ პასუხისმგებელი მხარეები წარმოადგენენ რეკომენდაციებს ელექტრონული ფორმატით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისთვის წარდგენამდე, აღნიშნული საკითხი განხილული იქნება საბჭოს ფორმატში.

შეხვედრის თავმჯდომარე ----------/ქეთევან ნატრიაშვილი/

შეხვედრის მდივანი ---------- /მარიამ შოთაძე/